სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ოდიში

1952
შაბათი
8
აგვისტო
№ 21 (10552)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაა უპირველესი სიქველე

ეძიე შენი ბილიკი

ალბათ შეუძლებელია დღევანდელ ზუგდიდში ისეთი პიროვნების მოძებნა, ვინც გულგრილი დარჩება ჩვენს გარშემო მძვინვარე ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური სიდუხჭირის მიმართ. ქუჩებზე, მოედნებზე, ოჯახებში, დაწესებულებებში არ ცხრება ბაზვზე ზვავად ჩამოწოლილი სისხლხორცეული პრობლემების განსჯა-განჩხრეკა, ვნებიანი კამათი, რომლებშიაც აშკარად იკვეთება განსხვავებულ ადამიანთა არაერთგვაროვანი პოზიცია და ამაში არაფერია მიუღებელი. ცხოვრება სწორედ ამ მრავალფეროვნებით არის საინტერესო. მთავარი ისაა, რომ სხვადასხვა თაობის ადამიანებს აწუხებთ ქალაქის ხვალინდელი დღე, მისი სოციალურ-კულტურული პერსპექტივა. მეტნაკლებად ყველანი იცნობიერებენ იმ გარემოებას, რომ თანდათან უნდა დაიძლიოს უკიდურესობამდე მისული ძალთა დაპირისპირებულობა, ეკონომიკური სიძნელეები და ერთიანი ძალისხმევით ავაღორძინოთ დანგრეულ-გაჩანაგებული ყოფა.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამისათვის, რომ თაობათა შორის გაწყვეტილი სულიერი კავშირები აღდგეს. ამ ძნელსა და არა ცალსახა გზაზე გადასალახია უამრავი სტერეოტიპი, გადასასინჯია რიგი ფსევდოღირებულებები, რათა ნაკლები კოლიზიებით შევძლოთ მიახლოება მარადიულ, ეროვნულ, მოქალაქეობრივ ღირებულებებთან. სიტყვით ვერ გადმოგცემთ, როგორ ხარობს ჩემი დაღლილი გული, როცა ვხედავ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდებს,—გვითხრა შრომაში ვამოჯეკილმა, მრავალ ჭირნანახმა ვეტერანმა, ტრანსპორტელმა არჩილ გერგედავამ. მაგრამ იქვე დასძინა: ამასთან გულზე ცეცხლად მედება მათი ერთი ნაწილის პასიურობა, შრომისადმი აგდებული დამოკიდებულება. მინდა მათ ვუთხრა, რომ სიბეჯითისა და გულმოდგინების გარეშე ცხოვრებაში საკუთარ ადგილს ვერ იპოვნიან, გულგატეხილობის უკმარ განცდას ვერ გაექცევიან.

სავსებით ვეთანხმებით, ამ სიტყვების ავტორს. მაგრამ აქ იმ სირთულეებზეც უნდა ითქვას, რაც გარდატეხის ჟამს ახალგაზრდებს საგონებელში აგდებს. საბაზრო ეკონომიკის მიერ მოტანილ სრულიად ახალ, უცნობ სტრუქტურებთან შეგუების პროცესი ახალბედებს კი არა, გამოცდილებსაც აფრთხობს. მთელი პრობლემა სწორედ ამ განზომილებით უნდა იქნას აღქმულ-გაანალიზებული.

„ახალგაზრდა და საბაზრო ეკონომიკა“—ამ აქტუალურ თემას ჩვენი გაზეთიც წამოსწევს წინა პლანზე. ყველამ, ბიზნესმენმაც და აქციონერმაც, მეწარმემ და კოოპერატორმა პირველ რიგში უნდა იზრუნოს ახალგაზრდების დასაქმებაზე. განსაკუთრებით ახლა, პრივატიზაციის საწყის ეტაპზე საშურია ზნეობრივი სიმტკიცე, ქველობა, წმიდათაწმიდა, ტრადიციული ღირებულებისადმი ერთგულება.

მხოლოდ შრომით, შინაგანი სიმტკიცით შევძლებთ მშობლიური კუთხის აღორძინებას.

არა ემოციების დონეზე

მართალია, სიმშვიდე და წესრიგი აქაც, ჩემს მშობლიურ კუთხეშიც გაგვიხდა სანატრელი, მაგრამ ის, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, არანაკლებ ტკივილის მომგვრელია კოლხი კაცისთვის. საკითხი ეხება საქართველოს მთლიანობის დარღვევის მკდელობას. ეს იმდენად სახიფათო პრობლემაა, რომ თუ ამ საკითხში მაქსიმალური გონიერება არ გამოვიჩინეთ, გამოუსწორებელ ზიანს მივაყენებთ დედა სამშობლოს.

აფხაზეთის თემა ყოველთვის იყო ერის სასიქადულო შვილის ფიქრის საგანი. აი, რას წერდა თავის დროზე ზუგდიდის მკვიდრი ცნობილი ლიტერატორი ს. ცაიშვილი ასევე ცნობილ მამულიშვილზე დავით ჩქოტუაზე:

„საქართველოს ამ ერთ მთელად შეკავშირებაში, ერთ მთლიან სხეულად შედუღებასა და ეროვნული შეგნების გამომუშავებაში ახალგაზრდა დავით ჩქოტუა, ეს პირველი განათლებული აფხაზი მეცხრამეტე საუკუნისა,—ქართველ მესამოციანელებთან იდგა. ის თავის თავს ნამდვილ ქართველ მწერლად ფიქრობდა. აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად, ხოლო აფხაზებს ერთერთ მონათესავე ტომად და არა რომელიმე ჰენიოხებისა, ან აბაშთაგან (ეთიოპელთა) ჩამომავალ ხალხად, როგორც ამას მაშინ, და შემდეგაც ამაოდ ამტკიცებდნენ ზოგიერთი პარტიულარისტულად განწყობილი მოღვაწენი და ამით შეგნებულად, თუ შეუგნებლად წყალს ასხამდნენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მოწინააღმდეგეთა წისქვილზე“.

ვიმედოვნებთ, დ. ჩქოტუას სულიერი მემკვიდრენი დღესაც საკმაოდ მოიძებნებიან მრავალ ჭირნანახ აფხაზეთში. და ააცდენენ მას განსაცდელს.

ნ. გეთია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

რას სჩადით, ადამიანებო!

რაოდენ დასანანია, რომ დღითიდღე იძაბება კრიმინოგენური სიტუაცია ჩვენს ქალაქში. ათასი ჯურის ბოროტმოქმედთა პარპაშს არ ეღება ბოლო. მართალია, ქართული პოლიცია შეძლებისდა გვარად ებრძვის ამ უკეთურთა მძლავრობას, მაგრამ ვითარება ჯერჯერობით უნუგეშოა. დღე ისე არ გავა, ავი ცნობებით გულშეღონებულმა მოქალაქეებმა ერთმანეთს გულისტკივილით არ შესჩივლონ: ეს რა ცოდვის კალოტრიალებს ჩვენს გარშემო. ნუთუ ამდენი ბოროტებისა და სიძულვილის ტარება შეუძლია ჩვენს ცოდვილ სულს? დიახ, სულგაწუწკებული მავანი იპარავს, ქურდობს, არბევს, ათასნაირ სხვა სისაძაგლეს სჩადის. იმას აღარ უფიქრდებიან, რომ ამდაგვარი ქმედებით აჩანაგებენ ირგვლივ მყოფთა სულს, ანგრევენ სიკეთის რწმენას, ხვალინდელი დღის იმედს. კაცის კვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამდენი იარაღი ალბათ არასდროს ტრიალებდა საქართველოში ირგვლივ კაენის ცოდვა ბორგავს, იღვრება ძმათა სისხლი, იფერფლება ძველებური ქართული დიდება.

შევჩერდეთ, ხალხნო. ასე სტიქიურად, ანგარიშმიუცემლად ნუ ვაბობოქრებინებთ ქვეცნობიერ, მდაბალ ინსტიქტებს. გვეყოს, რაც უკეთურობით სული ლავიმძიმეთ. ნუთუ აღარ დადგა დრო, გამოღვიძების?

ლ. ხუგულავა.

„ოდიშის“ მკითხველებს

ჩვენი გაზეთის დღევანდელი უძძიმესი მდგომარეობა გვაიძულებს ერთხელ კიდევ მოგმართოთ თხოვნით, ძვირფასო მკითხველებო! სადღეისოდ თავჩენილ სხვადასხვა ფაქტორთა გამო გაზეთს დახურვის საფრთხე ემუქრება. ამ კრიტიკული ვითარებისაგან თავის დაღწევის შანსი პირმტკიცე სპონსორებთან ერთად თქვენს აქტიურ თანადგომაშია.

ჩვენის მხრივ გპირდებით მაქსიმალური ქმედითი ზომების გატარებას გაზეთის ხელმომწერლებამდე მიწოდების უზრუნველყოფისათვის.

„ოდიშის“ კოლექტივი

უხეშობაც ცეცხლზე ნავთს ასხამს

პური მხოლოდ საკვაჭრო ქსელში გაიყიდოს!

ბოლო დღეებში თითქმის კატასტროფულად შემცირდა პურის შემოტანა ქალაქის მაღაზიებში. მოსახლეობამ პურკომბინატს მიაშურა, გაჩნდა უსაშველოდ გრძელი რიგები, რასაც ამჯერადაც მოჰყვა არასასურველი ექსცესები..

რა მოხდა, რით არის გამოწვეული შეფერხება, როგორ შეიძლება ვითარება დარეგულირდეს? — ამ კითხვების გასარკვევად ჩვენ 3 ივლისს, შუადღისას, ქალაქის პურკომბინატს ვესტუმრეთ.

კომბინატის ეზოში ხალხის ტევა არ იყო. საცხობი საამქროს ფანჯრებთან, საიდანაც ხდებოდა პურის გაცემა, ნერვებმოშლილი და გულშეჭირვებული ადამიანები ბობოქრობდნენ. გავესაუბრე კომბინატის თანამშრომლებს. მთავარმა ინჟინერმა ანზორ ჭარდავამ კოლექტივის აზრი ასე ჩამოაყალიბა: ყველასათვის ნათელია, თუ რა მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა გასული ზამთარგაზაფხულის პერიოდში. ამის მიუხედავად მოსახლეობისათვის პური მაინც არ დაგვიკლია, გვეგონა მდგომარეობა თანდათან გამოსწორდებოდა, მაგრამ ამაოდ, ჩვენი სამუშაო პირობები დღითი-დღე უარესდება. სამწუხაროდ, მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ჩვენდამი გაუმართლებელ უხეშობას იჩენს; ზოგს ჰგონია, რომ პურის მიწოდებაში შეფერხებები ჩვენი მიზეზით ხდება, დაგვილეწეს კარ-ფანჯრები, არ ერიდებიან ფიზიკურ შეურაცხყოფასაც, აბსოლუტურად დაუცველი ვართ... ასე თუ გაგრძელდა, ბოლოსდაბოლოს კოლექტივი მიატოვებს მუშაობას. რა ვქნათ, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ! ჩვენი კომბინატი და ქალაქის სხვა საცხობები მთელი დატვირთვით მუშაობენ. დღე-ღამეში 25-26 ტონა პროდუქციას ვუშვებთ, რაც ნორმალურ პირობებში აბსოლუტურად ყოფნის ქალაქის მოსახლეობას. პურის დეფიციტი ძირითადში რაიონის პუბკომბინატისა და სხვა სოფლის პურსაცხობების უმოქმედობამ გამოიწვია. მოგვეძალა მეზობელი რაიონების: წალენჯიხის, ხობის, გალის მცხოვრებნიც... მდგომარეობა მანამ არ დარეგულირდება, სანამ მთელი დატვირთვით არ ამუშავდება რაიონის პურკომბინატი, სანამ რბევა-თავდასხმებისაგან არ ვიქნებით დაცული, ხოლო ჩვენს მიერ გამომცხვარი პური მთლიანად ვერ შევა სავაჭრო ქსელში... პური თვით კომბინატში კი არა მაღაზიებში უნდა იყიდებოდეს!

...4 ივლისს, გარკვეული დროით, ქალაქის პურკომბინატში პური არ გამომცხვარა ისევ და ისევ ექსცესების მიზეზით. ამჟამად ვითარება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. მაღაზიებში ისევ შემოდის პური. გვექნება იგი შეუფერხებლად ხვალ თუ ზეგ?— ეს ბევრწილად თითოეული ჩვენგანის სინდისზეცაა დამოკიდებული.

ჯ. ჯაბადარი.

დავიცვათ სულიერი კულტურის ძეგლი

ღმერთი არ გვაპატიებს

ასე იყო ადრე, გუშინ თუ გუშინწინ: ზუგდიდელებს სასურველი სტუმრის მიღება, მისდამი მოწიწება და თავაზი არავისგან გვესწავლებოდა. ვინძლო ქალაქის სტუმარი ღირსშესანიშნავი ადგილებისა თუ ისტორიულ-კულტურული ძეგლების დათვალიერების სურვილს განაცხადებდა, სიამოვნებით ვთანხმდებოდით, რადგან აგერ, ორიოდე ნაბიჯზე გვეგულებოდა წინაპართაგან დანატოვარი საამაყო განძეული— ისტორიული მუზეუმი და ბოტანიკური ბაღი.

რა გვქონია, რა გვაქვს, ან რა გვექნება ხვალ თუ ზეგ, ჩემო კეთილებო, მუზეუმსა და ბოტანიკურ ბაღზე უფრო ძვირფასი, უფრო საჩინო და თვალისჩინივით მოსავლელ-მოსაფრთხილებელი?!

ჭეშმარიტი ზუგდიდელისათვის, რა გინდ აწყიმებდეს მის სულსა და გონებას თანადროული ტრაგიკული დღეების განცდა, არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი და „რაღაც წვრილმანი" ბოტანიკური ბაღის განადგურების შემზარავი პერსპექტივა. არადა აქის რეალური ნიშნები უკვე არის.

ბოტანიკური ბაღის დაარსების თარიღად 1840 წელი ითვლება. ბაღის გაშენების ხელმძღვანელობა დავით დადიანმა მეუღლეს—ეკატერინე ჭავჭავაძეს მიანდო. მთავრის მეუღლემ ბაღის დაგეგმარება საზღვარგარეთიდან სპეციალურად მოწვეულ ცნობილ მებაღე-დეკორატორს ეოზეფ ბაბინს დაავალა.

1856 წელს, დამარცხებულ ოსმალთა ჯარების უკან დახევისას, ომარ-ფაშამ ცეცხლს მისცა ზუგდიდი, დადიანისეული სასახლეები, ხოლო ბაღი სავსებით გაანადგურა. მაგრამ ეკატერინემ იგი განაახლა. მან მოიწვია ძმები—გაეტანო და ჯოვანი ზამბერტები, რომლებმაც ბაღს სიცოცხლე დაუბრუნეს და უფრო გაამშვენიერეს. გასული საუკუნის ქართველი თუ უცხოელი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მკვლევარ-მოგზაურები აღტაცებით წერდნენ ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ჩვენი ბაღის შესახებ და მას უწოდებდნენ უბადლოს, ამიერკავკასიის ბაღებს შორის საუკეთესოს.

1970 წლიდან იგი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ფილიალს წარმოადგენს. აქ წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კოლხეთის პირობებში მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის შესწავლის მიზნით.

ბაღის მცირერიცხოვანი კოლექტივის წინაშე სადღეისო ნომერ პირველ პრობლემად დგას ძვირფასი და ეგზოტიკური ხეების, ბუჩქებისა და ყვავილების დაცვა. მიუხედავად მათი ცალისხმევისა, ეს ხშირად ვერ ხერხდება. აი რას ამბობს ამის შესახებ ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი უსლარ ლატარია: სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი თანამოქალაქეების გარკვეული ნაწილი უდიერად, მომხმარებლური თვალთახედვით ეპყრობა ამ ხელთუქმნელ ცოცხალ ძეგლს. ბაღი ლამის სანაგვე ყუთად იქცეს.. ზოგს იგი პიროტყვის საძოვარ ალაგად მიაჩნია, ზოგსაც გვირგვინის გასაკეთებელ მცენარეთა ასაჭრელად, მავანს ალბათ მონიშნულიც აქვს რომელ ხეს მოუსწრაფოს არსებობა. არადა არც მუქარამ გასჭრა, არც თხოვნამ, არც პრესამ... გასულ ზამთარს ძლივს შევინარჩუნეთ ხეები, მაგრამ ამთავითვე ცხადია, რომ წლევანდელ „ყამს სიცივისას" ბაღს დიდი განსაცდელი მოელის... არის რეალური საშიშროება იმისა, რომ მოურიდებლად საშუშად მოსჭრან უნიკალური მცენარეები. ჩვენ, ბაღის მუშაკები, ვერაფერს გავხდებით თუ ამ უმსგავსობის წინააღმდეგ მთელმა საზოგადოებრიობამ არ აღიძაღლა ხმა. არა და არ დაადგა საძველი ბაღის დასაცავად პოლიციელის მომაგრების საკითხის გადაწყვეტას, რაც ქალაქის ხელაძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს...

ბევრ ავადსახსენებელ პერიოდს გადაურჩა ბაღი. ახლრამოცდაათ ზამთარ-ზაფხულს ითვლის მისი „ბიოგრაფია", რომელიც ლამაზ და გაუხუნარ მწვანე ფურცლად ერწუმის ჩვენი კუთხის ცოცხალ ისტორიას. ღმერთი არ გვაპატიებს, მომავალი თაობა შეგვაჩვენებს თუკი ხელყოფისაგან ჯერ-ოვნად ვერ დავიცავთ მას.

ჯამბულ არქანია.

გამოძახილი

აქტიური წონასწორობის ნიშნით

ალბათ ბევრმა წაიკითხა გაზეთ „მამულის" ამა წლის მე-13 ნომერში ბესო ბოჭორიშვილის სტატია— „აქტიური წონასწორობის ნიშნით". იმათთვის, ვინც ჯერ არ გაცნობია აღნიშნულ პუბლიკაციას, ვაქვეყნებთ მის მცირე ფრაგმენტს. დაკვირვებული მკითხველი მასშიც უცილოდ ამოიკითხავს სტატიის საერთო მიმართულებას და პათოსს:

„... ასე მესმის, რომ იბერიულ-კავკასიური კულტურა ჩვენი რაობაა, არსია და ჩვენს თავს იქით გზა არა გვაქვს. მეორე საკითხია იბერიულ-კავკასიელთა, ანუ იმ ხალხების, რომელთაც თავს იქით გზა არცა აქვთ, ურთიერთმიმართების საკითხი. აქ ასეთი ტენდენციები შეიმჩნევა: ზოგი ვარაუდობს ამ ხალხთა კონფედერაციას, ზოგი თანამეგობრობის ტიპის გაერთიანების საჭიროებას, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი კავშირი ისტორიულად სამართლიანი და ბუნებრივი იქნებაო. ზოგს სულაც არ მიაჩნია საჭიროდ რაიმე მსგავსი გაერთიანების წარმოქმნაზე განსაკუთრებული ზრუნვა, რამეთუ ეს ისედაც გარდაუვალიაო...

ვიეთნი ამბობენ, რომ საზიანოა რუსეთისთვისო, ვიეთნი— სხვა მეზობლებისათვისო და ვიეთნი — მსოფლიოსათვისო. ჩემი აზრით იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა პოლიტიკური კონსოლიდაცია გარდაუვალია, რამეთუ იგი კაცობრიობის ისტორიის ერთერთი რგოლია. რა ნიშნით ზის ეს რგოლი კაცობრიობის ისტორიაში"—აქტიური წონასწორობის ნიშნით. დღეს „იბერიულ-კავკასიურის" სახელით მოქმედი ნებისმიერი მოძრაობის საფიქრალი უნდა იყოს ის, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მივიდეს იბერო-კავკასია კონსოლიდაციამდე. საუკეთესო გზის მიმთითებლად მე ისევ და ისევ ზემოთ ხსენებული, ყოვლისმომცველი ზნეობა მესახება, რამეთუ თვით ეს ზნეობაა აქტიური წონასწორობის მაგალითი და ამ აქტიური წონასწორობის მომტანი. იბერიულ-კავკასიური ფენომენის არსიც აქვე ძევს".

ვფიქრობთ, ეს სტატია დაინტერესებს ჩვენს მკითხველებს, რამეთუ იგი დიახაც გვაძლევს საბაბს განსჯისათვის.

სარედაქციო კოლეგია

ნათელი სევდა

ამ ბრგე, ჯანღონით სავსე ვაჟკაცის უბრალო გავლაც მშობლიური ქალაქის ქუჩებში, სოფლის გზა შუკებში შეუძლებელი იყო თვალში არ სცემოდა თანამემამულეებს. სწორედ მასზე, რამე ხაზალიაზე ითქმოდა, შრომაში გამოჯეკილი, ჭკუის საკითხავი კაციო. ყმაწვილობიდანვე ჩაება სახოფლო შრომაში. სხვადასხვა დროს უმუშავნია ერგეტის კოლმეურნეობის ბრიგადირად, თავმჯდომარედ. შემდგომ მეურნეობის დირექტორის მოადგილედ.

წაყვა ამ ქვეყნად კეთილი სურვილი და ღრმა სიყვარული საქართველოსი. წავიდა ვალმოხდილი და დაგვიტოვა ნათელი სევდა მის ახლობლებს, მეგობრებს, ამხანაგებს.

მეგობრების ჯგუფი.

გახსენება

1992 წლის 25 თებერვალს უღვთოდ დაგვიხვრიტეს, დედის მუდარის მიუხედავად არ დაინდეს სრულიად უდანაშაულო, სულით წმინდა და ალალმართალი, 29 წლის არქიტექტორი და პოეტი გოჩა ჯიქია.

ძალიან დიდი დანაკლისი განიცადა ამ პიროვნების დაკარგვით ქართულმა არქიტექტურამ. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შენ, ჩვენო გოჩა, ჩვენს შორის აღარა ხარ, შენ, რომელსაც შეგეძლო გეშენებინა ლამაზი საქართველო, თუნდაც იმის შვილისათვის და მომავლისათვის, ვინაც ასე გაგწირა.

ქ. ზუგდიდის №8 საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ. რა კარგები ვიყავით მაშინ. შენ მაინც განსაკუთრებული იყავი.. მუდამ ხელოვნებაზე ფიქრობდი, მუდამ რაღაცას ჩაჰკირკიტებდი, გახსოვს ქაღალდის ჰაეროვნებაში როგორ ასახე შენი ნიჭი, მაგრამ ბოლომდე ვერ გაზორციელდა შენი ჩანაფიქრი, ჩუმად გიყვარდა ყველაფრის კეთება და ჩუმადვე გაიარე შენი ხანმოკლე ცხოვრება. ახლა გავიგეთ თუ რა დიდი ნიჭის პატრონი ყოფილხარ და გვენანები... გვენანები, რომ ასე უდროოდ დაკლდი შენს მეგობრებს, შენს ოჯახს, სრულიად საქართველოს, დაგრჩა ბევრი განუხორციელებელი მიზანი, ვაი, რომ არ დაგაცალეს...

იმ ავბედით დღეს ღიმილით ჩამიარე, წაბით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, კიდევ ერთი წუთი და აღარ იყავი...

ნათქვამია „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო". ძეგლი ყველაზე ძვირფასია, რომელსაც ხალხი აგიგებს გულში, იმ გულში, რომელსაც შენ მიანიჭე სიყვარული და რომელსაც შენსავე ლექსებში გამოხატავ: „თუ მოედანზე მეც ხელთუქმნელ ძეგლს ვერ აგიგებ, მერცხლის მოფრენას გაზაფხულზე ხომ კი გავიგებ?"

სწორედ რომ მოედანზე აიგე ძეგლი, მაგრამ მერცხლის მოფრენა გაზაფხულზე რომ არ დაგცალდა?

12 აგვისტოს 30 წელი შეგისრულდებოდა, ვაი, რომ უშენოდ ვხვდებით ამ დღეს, მაგრამ შენს საფლავზე მუდამ იშრიალებენ გაშლილი ვარდები.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, იძინე მშვიდად, ჩვენო საყვარელო გოჩა.

თანაკლასელი სვეტა მორგოშია

მეუღლე აგრა, შვილები: რაგენი, სერგო, გერონტი, ლეზა, ძმები: ჭოკო, ბიჭიკო, და ვარდიშა, რძლები: ზინა, ციალა, სონია, ნელი, როზა, სიძეები ამირან ჯინჯორია, ჯუმბერ წურწუმია, რამინ კვარაცხელია, ალიკო ნარუშვილი, ცოლისძმები: კაკო, გია ყურაშვილები, შვილისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
რამე კონსტანტინეს ძე ხაზალიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 აგვისტოს ს. ერგეტში.

დედა ნაირა, მამა ვალერი, და თეა, ძმა გიორგი, ბაბუა ვასილი, ბებიები მარგო ევანია, ნუნუ თოდუა, ბიძიები ნუგზარ ჭანტურია, თემურ ცხადაია, თემურ მონიავა, ჯეირან ჭკადუა, სერგო კეშელიანი, ზაურ ქარდავა, მამიდები: ნელი, იზოლდა კვარაცხელიები, დეიდები: ფადული, ნარგიზა, ინეზა ჭანტურიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან
აბესალომ (ალიკა) ვალერის ძე კვარაცხელიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. 128.

მეუღლე არიადნა, შვილები: ლიანა, შუქურა, ზურაბი, რევაზი თოდუები, ძმისშვილი ფრიდონი, რძლები: მერი ტიბუა, ელისო ოსიძე, ნათია ჯგუშია, როზა ღურწკაია, სიძეები: გრიშა სურგულაძე, ხუტა კვარაცხელია, ბოჩია კეშელავა, შვილიშვილები: მაიკო, სოფიკო, ნინიკო, რეზიკო, მიხო თოდუები, დათო, ლადო, ლევანი კეშელავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
სევერიანე მიხეილის ძე თოდუას
გარდაცვალებას. პანაშვიდი ,7, 8 აგვისტოს. დაკრძალვა 9 აგვისტოს სოფელ რუხში.

მეუღლე ზოია, მამა ვლადიმერი, დები მერი, მდინარა, ზოია, ძმები ზურაბი, სოსო, რძალი დალი ხასია, სიძეები: ჯუღელი გოგუა, რამინი კვარაცხელია, დაზმერი ცანავა, ქვისლი რეზო ჭითავა, ცოლისძმები: იური, აბესალომი, ცოლისდა გული დგებუაძეები, მამიდები, ბიძები, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
რეზო ვლადიმერის ძე ოყუჯავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქუჩა №23, 17 საათზე.

ღედა ცინარა, ძმა ემზარი, მამიდები ლილიკა, ძაბული, ბიძეები: ღუღუნი ხუხუა, დემური და გია ფიფიები, ბაჩიკო მოსიძე, ბიჭიკო ლაშხია, ანზორი პერტაია, ბიცოლა ლოლა, რძალი ხათუნა, ბიძაშვილები: თენგიზი, ენვერი, ზურაბი ხუხუები, დეიდაშვილები: ბაჩუკი, მაია მოსიძეები, ახლო ნათესავები და მეზობლები იუწყებიან
ელგუჯა შახის ძე ხუხუას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს სოფ. ჯიხაშკარში.

ძეუღლე ვეხეია ქიაძაია, ძვილუკა, ოყუკა, ეთეი, ვაო, სიდედი ოყუკი ქიაძაია, დები ოლია, ალალა, ლიახა, რძლეები: ხახა საძუაია, ხატო ძიქავა, ოვილიკვილყაი ბაძუკა, ბუეი კვირკვიყაი, გოგა კვიდია, დეიდა ძუა გოგოტიძე, სიძეები. ჯეთალ უხაოაძვილი, ბეეი ოუსეიშვილი, ფაოზიკე ავიტია, გია ცაგვა, ლალა ალალები. ფეეეეი, ძახახა უხაოაძკილები, ოოსო სიხაოულიძე, ნახა ოუსეიშვილი, რძლები: გული ძაკაცაია, ინო კორკელია, ქეთინო ზოიძე, რუსიკო ბლაგიძე. ძახლები: ეთეი კვირკველია, ნათელა და თემურ ძიქავები, ცოლისდები სვეტა, ირა, ქვისლები: ქარბე ჩაჩხალია, ჟორა არშბა, ბიძაშვილები, დეიდაშვილი ოჯახებით იუწყებიან
ვახტანგი იპოლიტეს ძე კვირკვიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 11, 12 აგვისტოს. დაკრძალვა 13 აგვისტოს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 138-დან.

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან
მარო იაკობის ასულ ცირდავა-მიქაიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 61517 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 118 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-89, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-98, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-17-00

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56. 2-28-07 ტირაჟი 2000. შეკ. №269